საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 162/ს
24/06/2022

162-21-4-202206241124

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში შპს „ნიავის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ნიავის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში, ფ/პ გივი დეკანოიძის საკუთრებაში არსებულ 7518 $მ^2$ ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 32.11.32.395), რომელსაც კომპანია ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ობიექტის განთავსების GPS კოორდინატებია: X-332576; Y-4665160. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 330 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა, მიედინება დაახლოებით 120 მეტრში. ობიექტის მომიჯნავედ მდებარეობს შპს „ნიავის“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგური, ხოლო დაახლოებით 20 მეტში შპს „ალპედეს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა შპს „ალპედეს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, რომლის ტერიტორია 2020 წელს გადაკვეთა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ელექტროგადამცემმა ხაზმა („სურამი“). ვინაიდან, ობიექტის ტერიტორიის ნაწილი და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურა მოხვდა ელექტროგადამცემი ხაზის გასხვისების ზოლში, კომპანიამ განახორციელა საწარმოს დემონტაჟი.

2021 წლის 24 დეკემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ნიავის“ კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79^7 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული

სამართალდარღვევების ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №065992 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შპს „ნიავი“ გეგმავს საპროექტო ტერიტორიაზე განთავსებული საწარმოს ინფრასტრუქტურის ადგილმდებარეობის სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან“ შეთანხმებული სქემის მიხედვით ცვლილებას და „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებასთან შესაბამისობაში მოყვანას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმო აღჭურვილია შემდეგი ინფრასტრუქტურით: მიმღები ბუნკერი, ყბებიანი სამსხვრევი, ლენტური ტრანსპორტიორი, ნედლეულისა და პროდუქციის სასაწყობე მოედნები. ობიექტზე გათვალისწინებულია წელიწადში 36000 მ^3 (64800 ტ) ქვიშა-ხრეშის მშრალი მეთოდით გადამუშავება (18 მ^3/სთ). საწარმოს სამუშაო გრაფიკი შეადგენს წელიწადში 250 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს და დასაქმებულია 4 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი იწყება მდ. ყვირილას კალაპოტში არსებული ლიცენზირებული კარიერებიდან, ძარაგადახურული ავტოთვითმცლელების საშუალებით, ქვიშა-ხრეშის საწარმოს ტერიტორიაზე შემოზიდვით. ნედლეული თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე, საიდანაც დამტვირთველის მეშვეობით, იყრება მიმღებ ბუნკერში. მიმღები ბუნკერიდან ქვიშა-ხრეში ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს, სადაც ხდება მასალის მსხვრევა. მიღებული 0-40 მმ დიამეტრის ფრაქცია, ლენტური ტრანსპორტიორის საშუალებით, თავსდება ღია სასაწყობე მოედანზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს ნედლეულით მომარაგება და წარმოებული პროდუქციის გატანა ხორციელდება არსებული საავტომობილო გზით, რომელიც არ გაივლის დასახლებულ პუნქტს. საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, გათვალისწინებულია საათში საშუალოდ ერთი სატრანსპორტო ოპერაცია. მიღებული პროდუქციის რეალიზაცია დაგეგმილია ახლომდებარე სოფლებში.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტზე წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური მიზნებისათვის. საწარმოს სასმელი წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილირებული სახით, ხოლო სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით წყალაღება გათვალისწინებულია ობიექტის მომიჯნავედ, შპს „ნიავის“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილი მიწისქვეშა ჰორიზონტის ჭიდან. სამეურნეო მიზნით გამოყენებული წყლის მოცულობა შეადგენს წელიწადში 25 მ^3-ს, ხოლო ტექნიკური მიზნით (ტერიტორიის მოსარწყავად) - წელიწადში 54 მ^3-ს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ობიექტზე ქვიშა-ხრეშის გადამუშავება ხორციელდება მშრალი მეთოდით, ხოლო დასაქმებული პერსონალი საყოფაცხოვრებო დანიშნულებით იყენებს შპს „ნიავის“ საკუთრებაში არსებული ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მართვის მიზნით მოწყობილია წყალამრიდები, რომელთა მეშვეობითაც ტერიტორიიდან არ მოხდება სანიაღვრე წყლის ნაკადის გადინება. საპროექტო ტერიტორია დაფარულია ქვიშისა და ღორღის ფენით და საწარმოს ფუნქციონირების პროცესში გრუნტის წყლების შეწონილი ნაწილებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტში მოცემულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერების გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი მაჩვენებლები. დოკუმენტის თანახმად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, საწარმოს წარმადობისა და უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის, ასევე, შპს „ალპედეს“ საქმიანი ეზოდან გაფრქვევების გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. სკრინინგის განცხადებაში მოცემულია წარმოქმნილი ხმაურის დონეების გაანგარიშების შედეგები, რომლის თანახმად, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს. ამასთან, აღსანიშნავია ობიექტის განთავსების ტერიტორიასა და უახლოეს საცხოვრებელ სახლს შორის არსებული ბუნებრივი ბარიერები (მდ. ყვირილას ხეობა და ტყის კონტური), რაც ამცირებს ხმაურის გავრცელებას. შესაბამისად, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურისა გავრცელებით გამოწვეულ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ოპერირების ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ზესტაფონის მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ობიექტი განთავსებულია ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმეოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და ხე-მცენარეები წარმოდგენილი არ არის. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

როგორც უკვე აღინიშნა, ობიექტიდან დაახლოებით 20 მეტრში განთავსებულია შპს „ალპედეს“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც ფუნქციონირებს ბეტონის კვანძი, ბეტონის ნაკეთობათა საამქრო და ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი ხაზი. სკრინინგის განცხადებაში კუმულაციური ზემოქმედების რისკებად განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება და მოცემულია საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად, მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედება. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს მცირე წარმადობის (36 000 $მ^3$), უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (330 მ) და არსებული ბუნებრივი ბარიერების (მდ. ყვირილას ხეობა და ტყის კონტური) გათვალისწინებით, საწარმოების ერთობლივი ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაიგზავნა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის მახასიათებლების, წარმადობის და ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ობიექტის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ასევე „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. პირველ სვირში შპს „ნიავის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ნიავი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ნიავს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ნიავის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზესტაფონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო